პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 97 (5798) | შაბათი, 27 აპრილი 1940 წ. | ფასი 10 კაპ.

ლოზუნგები
1940 წლის 1 მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს—მუშათა კლასის რევოლუციურ ძალთა საბრძოლო დათვალიერებას! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

2. ჩვენი ძმური სალამი კლასობრივ ძმებს, კაპიტალის ტუსაღებს, მთელს მსოფლიოში მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლთ!

3. განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ინტერნაციონალური კავშირი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასთან! უფრო მაღლა ავწიოთ საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დროშა!

4. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, რომელიც უზრუნველჰყოფს ხალხთა შორის მშვიდობიანობას და ჩვენი სამშობლოს უშიშროებას!

5. გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას, საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობიანი შრომის მძლავრ დასაყრდენს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა ერთგულ გუშაგს!

6. ძმური სალამი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მამაც მეომრებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომელთაც უზრუნველჰყვეს ლენინგრადისა და ჩვენი სამშობლოს ჩრდილოეთ-დასავლეთი საზღვრების უშიშროება!

7. საბჭოთა კავშირის მშრომელნო! არ დაივიწყოთ კაპიტალისტური გარემოცვა! განუხრელად განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმიის ძლიერება და ჩვენი ქვეყნის თავდაცვა!

8. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტს—საბჭოთა საზღვაო საზღვრების საიმედო მცველს!

9. გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა ავიაციას! გაუმარჯოს საბჭოთა მფრინავებს—ჩვენი სამშობლოს ამაყ შევარდნებს!

10. სალამი მამაც და უშიშარ მეომრებს—მესაზღვრეებს, სოციალიზმის ქვეყნის ფხიზელ გუშაგებს!

11. გაუმარჯოს დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებულ ხალხებს, რომელნიც საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადს ძმურ ოჯახში აშენებენ თავიანთ თავისუფალ ცხოვრებას!

12. გაუმარჯოს კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

13. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას!

14. ბოლშევიკური სალამი მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის სტახანოველთა მრავალმილიონიან არმიას, ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ ადამიანებს!

15. მივაღწიოთ 1940 წლის—მესამე ხუთწლედის მესამე წლის სამეურნეო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას!

16. შეტალურგიის მუშებო და მუშა-ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ ლითონის წარმოების გადიდებისათვის!

17. მანქანათმშენებლობის მუშებო და მუშა ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის!

18. სათბობი და ენერგეტიკული მრეწველობის მუშებო და მუშა-ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! წინ წასწიეთ სათბობის ამოღება, ელექტროენერგიის წარმოება!

19. თავდაცვის მრეწველობის მუშებო და მუშა-ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! განამტკიცეთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება! უახლესი ტექნიკით აღჭურვეთ წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი!

20. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ ჩვენი ქვეყნის მძლავრი ქიმიური მრეწველობის შექმნისათვის!

21. მსუბუქი მრეწველობის მუშებო და მუშა-ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მეტი ჩითი, აბრეშუმი, მაუდი, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეთათვის! იბრძოლეთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის!

22. კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო! იბრძოლეთ საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ დამთავრებისა და მაღალი მოსავლისათვის! განამტკიცეთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა! გაუმარჯოს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებას!

23. სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის მუშაკებო! იბრძოლეთ საბჭოთა მომხმარებლის უკეთ მომსახურებისათვის, კულტურული საბჭოთა ვაჭრობისათვის ქალაქში და სოფლად!

24. საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურენო! განამტკიცეთ სახელმწიფოებრივი დისციპლინა, ეცადეთ სანიმუშოდ დააკმაყოფილოთ მშრომელთა მოთხოვნილებანი და საჭიროებანი!

25. საბჭოთა კავშირის ხალხთა საბჭოთა კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების შემდგომ წარმატებათა და მონაპოვართათვის!

26. ავამაღლოთ მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონე საინჟინრო-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე!

27. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის თანასწორუფლებიან ქალს, სახელმწიფოს, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ საქმეთა მართვა-გამგებლობის აქტიურ მონაწილეს!

28. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ყოველდღიური ზრუნვა, პროფკავშირთა წევრების მთელი მასის აღზრდა ლენინიზმის სულისკვეთებით,—საბჭოთა პროფესიული ორგანიზაციების საპატიო მოვალეობაა! გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს—კომუნიზმის სკოლას!

29. საბჭოთა კავშირის მშრომელნო! განამტკიცეთ ჩვენი სოციალისტური დაზვერვა, დაეხმარეთ ჩვენს ჩეკისტებს ხალხის მტრების განადგურებასა და ალმოფხვრაში!

30. უფრო ფართოდ გავშალოთ ჩვენს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა! ალმოვფხვრათ ნაკლოვანებანი ჩვენს მუშაობაში და ამით განვამტკიცოთ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება!

31. გაუმარჯოს კომკავშირს—ბოლშევიკური პარტიის ერთგულ თანაშემწეს! გაუმარჯოს ჩვენს ახალგაზრდობას,—ჩვენი სამშობლოს მომავალს!

32. ჩვენი სკოლის მოსწავლენო! დაეუფლეთ მეცნიერებას, ემზადეთ იმისათვის, რომ გახდეთ ლენინ-სტალინის საქმისათვის მებრძოლნი!

33. ჩვენი მხურვალე სალამი საბჭოთა სახალხო მასწავლებელს, ჩვენი ახალგაზრდა თაობის ალმზრდელს!

34. ბავშვები ჩვენი მომავალია აღვზარდოთ საბჭოთა ბავშვები ჩვენი სამშობლოს პატრიოტებად, რომელნიც მზად იქნებიან განაგრძონ ბრძოლა ლენინ-სტალინის საქმისათვის!

35. ჩვენი მხურვალე სალამი საბჭოთა ქვეყნის ფიზკულტურელ ქალებსა და ვაჟებს!

36. გაუმარჯოს და განმტკიცდეს ჩვენი მძლავრი სამშობლო—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

37. გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ მუშათა კლასს!

38. გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ კოლმეურნე გლეხობას!

39. გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ ინტელიგენციას!

40. გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას—საბჭოთა კავშირის მშრომელთა მოწინავე რაზმს!

41. გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს—იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორს!

42. გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადს, უძლეველ დროშას! გაუმარჯოს ლენინიზმს!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

ბრძანებულება

სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სამურ-დივიჩის არხისათვის ამხანაგ სტალინის სახელის მიკუთვნების შესახებ

დაკმაყოფილდეს აზერბაიჯანის სსრ სამურ-დივიჩის არხის მშენებელ-კოლმეურნეთა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრავალრიცხოვანი კრებების თხოვნა და სამურ-დივიჩის არხს მიეკუთვნოს ამხანაგ **სტალინის** სახელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1940 წლის 25 აპრილი.

მოსკოვს ჩამოვიდა იუგოსლავიის სამეურნეო დელეგაცია

25 აპრილს მოსკოვს ჩამოვიდა იუგოსლავიის სამეურნეო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობენ ბ-ნი მ. ჯორჯევიჩი (ფინანსთა ყოფილი მინისტრი) და ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი ს. ობრადოვიჩი.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: ნაციონალური ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ბ-ნი ლ. მიკიჩი, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს საგარეო ვაჭრობის სამმართველოს დირექტორი ბ-ნი რ. ბიჩანიჩი, ნაციონალური ბანკის აღმასრულებელი საბჭოს წევრი ბ-ნი ი. ივსენეკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ბ-ნი ვ. მარკოვიჩი და დელეგაციის მდივანი ბ-ნი დ. ძალარი—საგარეო საქმეთა სამინისტროს ატაშე. დელეგაციას თან ახლავს იუგოსლავიის ცენტრალური პრესბიუროს უცხოეთის განყოფილების უფროსი ბ-ნი ვ. დიმიჩი.

კიევის ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. ი. ჯუშაროვი, სსრ კავშირის სახბანკის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ა. ეოზიაკოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსის მოვალეობათა შემსრულებელი ამხ. დ. დ. მიშუსტინი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. პ. პ. პროკურორნოვი და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო ხელშეკრულებათა განყოფილების რეფერენტი ამხ. ვ. მ. ესეკინი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

საქართველოს სს რესპუბლიკამ უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდ წარმატებებს მიაღწია სოფლის მეურნეობის და, განსაკუთრებით, ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებაში.

რვა წლის მანძილზე, რამაც განვლო ამერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1931 წლის 31 ოქტომბერს დადგენილების გამოტანის დღიდან, სუბტროპიკული კულტურების ფართობი, 1931 წელს არსებული 18 ათასი ჰექტარის ნაცვლად, 90 ათას ჰექტარამდე გაიზარდა.

საქართველოს მშრომელებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჩაის მეურნეობისა და ციტრუსოვანი კულტურების განვითარებაში.

ჩაის ფართობი 16.171 ჰექტარიდან აყვანილია 47.144 ჰექტარამდე. 1939 წელს თითო ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე მოკრეფილ იქნა 2.286 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1932 წელს მოკრეფილი 701 კილოგრამის ნაცვლად. სახელმწიფოს ჩაბარდა 44.000 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1931 წელს ჩაბარებულ 1.200 ტონის ნაცვლად. ბაიხის ჩაის მზა პროდუქციის გამოშვებამ, რაც 1931 წელს 290 ტონას შეადგენდა, 1939 წელს 10.000 ტონაზე მეტს მიაღწია (2.300 ტონა მწვანე აგურა ჩაის ჩაუთვლელად).

„საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ციტრუსოვანი კულტურების ფართობის გადიდების ხუთწლიანი გეგმის შესახებ (1936-1940 წლები)" სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 5 ნოემბრის დადგენილების შესასრულებლად, ციტრუსოვან ნარგავთა საერთო ფართობი, 1936 წლის 1 იანვრისათვის არსებული 3.280 ჰექტარის ნაცვლად, 1940 წლის 1 იანვრისათვის აყვანილია 17.122 ჰექტარამდე. სახელმწიფოს ჩაბარდა 445 მილიონზე მეტი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი, 1932 წელს ჩაბარებული 12,7 მილიონი ცალის ნაცვლად. შექმნილია სანერგეები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ყოველწლიურად 5 მილიონზე მეტი ცალი სტანდარტული სარგავი მასალის გამოსავლიანობას.

ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით აითვისეს ტუნგოს ხის კულტურა, რომლის ფართობი 1939 წელს აყვანილ იქნა 15.800 ჰექტარამდე, 1931 წელს არსებული 42 ჰექტარის ნაცვლად.

მნიშვნელოვნად განვითარდა საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის უძველესი დარგი — მევენახეობა. ვენახების ფართობმა 1940 წლის 1 იანვრისათვის 48.331 ჰექტარს მიაღწია.

სეროიზული წარმატებებია კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისა და კოლმეურნეთა შეძლებულობისა და კულტურის ზრდის დარგში. 1940 წლის 1 იანვრისათვის კოლექტივიზებული იყო ყველა გლეხური მეურნეობის 92.3 პროცენტი. კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ერთისამად და უფრო მეტად გაიზარდა და 1938 წელს შეადგენდა 455 მილიონ მანეთს, მაშინ როდესაც 1933 წელს იგი 124 მილიონ მანეთს უდრიდა. 7 წლის განმავლობაში კოლმეურნეთა შრომადღის ღირებულების საშუალო ფულადი ნაწილი 6-ჯერ გადიდდა.

რესპუბლიკის მიერ სოფლის მეურნეობის განვითარების, მოსავლიანობის გადიდებისა და ახალი მეტად ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების ათვისების საქმეში მიღწეული წარმატებანი ყოველგვარ პირობებს ჰქმნიან საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი, კიდევ უფრო მეტი აღმავლობისათვის.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენენ:**

დაეკალოს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის:

I. ციტრუსოვანთა კულტურების დარგში

1. გადიდდეს ციტრუსოვანი კულტურების ფართობი საქართველოს სს რესპუბლიკაში 1944 წლის დამლევისათვის 40 ათას ჰექტარამდე, აქედან:

მანდარინის ნარგავები — 22,0 ათასი ჰექტარი,
ლიმონის ნარგავები — 10,5 ათასი ჰექტარი,
ფორთოხლის ნარგავები — 7,5 ათასი ჰექტარი.

2. ამ გეგმის უზრუნველსაყოფად გაშენდეს 1940-1944 წლებში ციტრუსოვანი კულტურების ახალი პლანტაციები 22,9 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან:

მანდარინი — 9.050 ჰექტარი,
ლიმონი — 6.891 ჰექტარი,
ფორთოხალი — 6.937 ჰექტარი.

3. დაწესდეს წლებისა და ცალკეული კულტურების მიხედვით ციტრუსოვანთა ნარგავების გაშენების შემდეგი გეგმა:

1940 წლისათვის — 6.630 ჰექტარი, აქედან:
მანდარინი — 1.639 ჰექტარი,
ლიმონი — 4.549 ჰექტარი,
ფორთოხალი — 442 ჰექტარი.

1941 წლისათვის — 3.570 ჰექტარი, აქედან:
მანდარინი — 2.450 ჰექტარი,
ლიმონი — 420 ჰექტარი,
ფორთოხალი — 700 ჰექტარი.

1942 წლისათვის — 3.420 ჰექტარი, აქედან:
მანდარინი — 1.900 ჰექტარი,
ლიმონი — 520 ჰექტარი,
ფორთოხალი — 1.000 ჰექტარი.

1943 წლისათვის — 4.145 ჰექტარი, აქედან:
მანდარინი — 1.700 ჰექტარი,
ლიმონი — 650 ჰექტარი,
ფორთოხალი — 1.795 ჰექტარი.

1944 წლისათვის — 5.113 ჰექტარი, აქედან:
მანდარინი — 1.361 ჰექტარი,
ლიმონი — 752 ჰექტარი,
ფორთოხალი — 3.000 ჰექტარი.

4. დაწესდეს, რომ ფორთოხლის პლანტაციების შემდგომი გაშენება უნდა სწარმოებდეს ფართო საწარმოო გამოცდილებით შემოწმებული საუკეთესო ჯიშებით, უპირატესად „ვაშინგტონ ნაველის" და „კოროლიოკის" ჯიშებით.

5. გათვალისწინებულ იქნას გამოცდილება საქართველოს სს რესპუბლიკის მოწინავე ციტრუსოვანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც წარმატებით იბრძვიან ნაყოფის მაღალი მოსავლისათვის, და უზრუნველყოფილ იქნას სრული მსხმოიარობის ასაკის 40 ათასი ჰექტარი ციტრუსოვანი ნარგავებიდან საერთო მოსავლის მიღება არანაკლებ 14-15 მილიარდი ციტრუსოვანი ნაყოფისა, ხოლო 1944 წელს — 3-3,5 მილიარდი ცალისა, აქედან ლიმონი 600 მილიონ ცალამდე.

II. ჩაის დარგში

1. გადიდდეს ჩაის პლანტაციების ფართობი საქართველოს სს რესპუბლიკაში 1944 წლის დამლევისათვის 60 ათას ჰექტარამდე, რისთვისაც გაშენდეს 1940-1944 წლებში 12,9 ათასი ჰექტარი ახალი პლანტაციები, აქედან:

1940 წელს — 3,2 ათასი ჰექტარი
1941 წელს — 2,1 ათასი ჰექტარი
1942 წელს — 2,5 ათასი ჰექტარი
1943 წელს — 2,4 ათასი ჰექტარი
1944 წელს — 2,7 ათასი ჰექტარი.

2. უზრუნველყოფილ იქნას ჩაის არსებული პლანტაციების მოსავლიანობის გადიდება იმ ანგარიშით, რომ 1944 წელს მოკრეფილ იქნას არანაკლებ 90 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლისა ისე, რომ ერთი ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციის საშუალო მოსავლიანობა იქნეს 2.750 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

III. მევენახეობის დარგში

1. გადიდდეს ვენახის ფართობი საქართველოს სს რესპუბლიკაში 1944 წლის დამლევისათვის 80 ათას ჰექტარამდე, რისთვისაც გაშენდეს 1940-1944 წლებში 31.670 ჰექტარი ახალი ვენახი, რაც შემდეგნაირად განაწილდეს წლების მიხედვით:

1940 წელს — 5.400 ჰექტარი
1941 წელს — 6.230 ჰექტარი
1942 წელს — 6.510 ჰექტარი
1943 წელს — 6.800 ჰექტარი
1944 წელს — 6.930 ჰექტარი.

2. მაღალხარისხოვანი სარგავი მასალის ჩაყრის ამ გეგმის უზრუნველსაყოფად ვაზის სანერგეთა ფართობი გადიდებულ იქნას 205 ჰექტარით, ისე რომ 1944 წლის გაზაფხულისათვის ვაზის სანერგის ფართობი აყვანილ იქნას 575 ჰექტარამდე.

3. გაშენდეს 1940-1941 წლებში „რიპარია X ბერლანდიერი—5ბბ" ჯიშის ამერიკული ვაზის 100 ჰექტარი სადედე.

4. აყვანილ იქნას 1944 წლის დამლევისთვის ერთი ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახის მოსავლიანობა სულ ცოტა 65 ცენტნერამდე.

IV. დაფნის, ევკალიპტისა და ბამბუკის ნარგავთა დარგში

1. გაშენდეს 1940-1944 წლების პერიოდში დაფნის ახალი ნარგავები 13 მილიონი ძირის რაოდენობით იმგვარად, რომ 1944 წლის დამლევისათვის დაფნის ნარგავთა რაოდენობამ მიაღწიოს 20 მილიონ ძირს.

2. აყვანილ იქნას 1944 წლის დამლევისათვის ევკალიპტის ნარგავთა რაოდენობა 50 მილიონ ხემდე, ნაცვლად 9,1 მილიონი ცალისა, რაც 1940 წლის 1 იანვრისათვის იყო, რისთვისაც 1940-1944 წლების პერიოდში გაშენდეს ევკალიპტის ახალი ნარგავები 40,9 მილიონი ცალის რაოდენობით, ამასთან ნარგავთა გაშენება შემდეგნაირად განაწილდეს წლების მიხედვით:

1940 წელს — 10,0 მილიონი ძირი
1941 წელს — 6,0 მილიონი ძირი
1942 წელს — 7.0 მილიონი ძირი
1943 წელს — 8,9 მილიონი ძირი
1944 წელს — 9.0 მილიონი ძირი

დაეკალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიიღონ ზომები ევკალიპტის ნარგავთა მოვლის გაუმჯობესებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ევკალიპტის ყინვაგამძლე და მეურნეობრივად ყველაზე ძვირფასი ჯიშების შერჩევასა და განვითარებას.

3. აყვანილ იქნას 1944 წლის დამლევისათვის ბამბუკის ნარგავთა ფართობი 5 ათას ჰექტარამდე, ნაცვლად 650 ჰექტარისა, რაც 1940 წლის 1 იანვრისათვის იყო, ამასთან მათი გაშენება შემდეგნაირად განაწილდეს წლების მიხედვით:

1940 წელს — 250 ჰექტარი
1941 წელს — 500 ჰექტარი
1942 წელს — 600 ჰექტარი
1943 წელს — 1500 ჰექტარი
1944 წელს — 1500 ჰექტარი.

4. დაწესდეს დაფნისა და ბამბუკის პლანტაციების გაშენებისა და მათი მოვლის ღონისძიებათა გრძელვადიანი დაკრედიტება შემდეგი ოდენობით:

ა) ერთ ჰექტარ დაფნაზე — 9.300 მანეთი, აქედან:

პლანტაციის გასაშენებლად — 3.800 მანეთი

გაშენების I წელს მოსავლელად — 1.100 მანეთი
გაშენების II წელს მოსავლელად— 600 მანეთი
გაშენების III წელს მოსავლელად— 1.300 მანეთი
გაშენების IV წელს მოსავლელად— 1.000 მანეთი
გაშენების V წელს მოსავლელად — 1.500 მანეთი;

ბ) ერთ ჰექტარ ბამბუკზე — 4.020 მანეთი აქედან:

გასაშენებლად და მოსავლელად I წელს — 2.400 მანეთი
II წელს მოსავლელად — 850 მანეთი
III წელს მოსავლელად — 400 მანეთი
IV წელს მოსავლელად — 370 მანეთი;

გ) ბამბუკის ნარგავთა სანერგეებზე — 6.200 მანეთი აქედან:

ნიადაგის მოსამზადებლად, სანერგის გასაშენებლად და
I წელს მოსავლელად — 5.250 მანეთი
II წელს მოსავლელად — 950 მანეთი.

V. აგროტექნიკისა და მექანიზაციის დარგში

1. გამოიყოს 1940 წლის 1 ოქტომბრამდე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსოვანი კულტურების გასაშენებლად გამოსადეგი მიწის ნაკვეთები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საუკეთესო მიწის გამოყოფას ლიმონისა და ფორთოხლის პლანტაციების გასაშენებლად.

ამავე ვადისთვის დამთავრდეს პლანტაციებისა და სანერგეების გაშენების საწარმოო დავალებათა რაიონებამდე, სასოფლო საბჭოებამდე, კოლმეურნეობებამდე და საბჭოთა მეურნეობებამდე დაყვანის სამუშაოები ცალკეულ კულტურათა გაშენების ვადების მითითებით.

2. აეკრძალოს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და დანარჩენ ორგანიზაციებს რაიმე სხვა მრავალწლოვანი კულტურების გაშენება ლიმონისა და ფორთოხლისათვის გამოსადეგ მიწებზე.

3. დაწესდეს, რომ სანერგეებიდან ციტრუსოვანი კულტურების სარგავი მასალის გაცემა ხდება რაიონულ სამწათმოქმედო განყოფილებათა მიერ გაცემული სერტიფიკატებით, რომლებშიც აღნიშნული უნდა იყოს სტანდარტულობა, ჯიშიანობა და მავნებლებითა და დაავადებით დაუსენიანებლობა.

4. განგრძობილ იქნას მუშაობა ჩაის პლანტაციებისა და ვენახების სარემონტოდ იმ ვარაუდით, რომ 1941 წლის დამლევისათვის მთლიანად ლიკვიდირებულ იქნას მათი სიმეჩხრე.

5. 1940-1942 წლების განმავლობაში ლიკვიდირებულ იქნას ფაროანებით დაავადების ყველა კერა ციტრუსოვანთა და ჩაის პლანტაციებზე, რისთვისაც ფართოდ იქნას გამოყენებული კარვებქვეშ ფუმიგაციის მეთოდი.

დაეკალოთ სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას გამოჰყოს ამ მიზნით საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსათვის სსრ კავშირის მიწსახკომის ფონდებიდან ციტრუსოვანი ნარგავებისა და ჩაის პლანტაციების საფუმიგაციო ქიმიკატების შემდეგი რაოდენობა (ტონობით):

ციან-ნატრიუმი	34
ციანშენადნობი	230
გოგირდმჟავა	80

6. დაეკალოს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატს გამოჰყოს 1940 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსათვის სსრ კავშირის მიწსახკომის ფონდებიდან 3.000 ტონა შაბიამანი და 2.400 ტონა დაფქული გოგირდი.

7. დაეკალოს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს, 1941 წლიდან დაწყებული მოაწყოს ადგილობრივი მრეწველობის ქარხნებში საჩანთე აპარატურის წარმოება სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებათა და მავნებლებთან საბრძოლველად იმ ვარაუდით, რომ ყოველწლიურად გამოშვებულ იქნას 10 ათასი ცალი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ამ მიზნით საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსათვის 1941-1944 წლების წლიურ გეგმებში გამოჰყოს მოწყობილობისა და მასალების საჭირო ფონდები.

8. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მიწსახკომს არსებული აპარატურის სარემონტოდ გამოჰყოს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსათვის 1940 წლის II კვარტალში 700 ცალი ორმაგი ბუნიკი და 1.000 ცალი გამამტვერებელი, ხოლო სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატს — 3.000 მეტრი წელა სსრ კავშირის მიწსახკომის II კვარტალის ფონდის დამატებით მისი წლიური ფონდების ხარჯზე.

9. დამთავრდეს 1943 წელს ქარსაცავი ზოლების გაშენება ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების ყველა ადგილზე უფრო საშიშ ადგილებში გამოყენებულ იქნას პლანტაციების ღია გათბობის სისტემა, აგრეთვე ინდივიდუალური შეფუთვა.

1944-1945 წლის ზამთრისათვის ღია გათბობის ფართობი დაწესდეს 3 ათასი ჰექტარი, აქედან 1940 წელს — ღია გათბობა 200 ჰექტარ ფართობზე და 40 ათასი ლიმონის ხის ინდივიდუალური შეფუთვა გათბობითურთ.

11. დაეკალოს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს მოაწყოს 1940-1944 წლების განმავლობაში ადგილობრივი მრეწველობის ქარხნებში ლუმელების წარმოება ლიმონის ნარგავთა გასათბობად; დაიწესოს 1940 წლისათვის გეგმა 40 ათასი ცალი ლუმელის გამოშვებისა ღია გათბობისათვის და 40 ათასი ცალი ლუმელის გამოშვებისა ინდივიდუალური გათბობისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოჰყოს 1940 წლის III კვარტალში 500 ტონა და 1940 წლის IV კვარტალში (არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა) I და II ხარისხის 300 ტონა რკინა თანაბარ ნაწილებად და გაითვალისწინოს 1941-1944 წლების წლიური გეგმებით რკინის საჭირო რაოდენობა, აგრეთვე ცისტერნების შეზიდვა ლიმონის პლანტაციებისათვის, რათა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ინახებოდეს საწყავი მასალის საავარიო მარაგი.

გამოყოფილ იქნას არაუგვიანეს 1940 წლის 1 ოქტომბრისა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს ფონდების ხარჯზე 2.000 ტონის ტევადობის ცისტერნები.

12. დაეკალოს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკს 5 წლის ვადით დააკრედიტოს საქართველოს სს რესპუბლიკის ციტრუსების კოლმეურნეობანი ლუმელებისა და ცისტერნების შესაძენად ფულადი ხარჯების 100 პროცენტის ფარგლებში და მისცეს მოკლევადიანი კრედიტი საწყავი მასალის შესასყიდად.

13. დაეკალოს სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ლიმონის ხეების საზამთროდ შესაფუთავად მოაწყოს 1940 წელს სამფენიანი მარლის ტიპის ქსოვილთა წარმოება და 1940 წლის მესამე კვარტალში გამოჰყოს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსათვის ლიმონის შესაფუთავად 2 მილიონი მეტრი მარლა.

14. არსებული ნარგავების მოვლის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ ჩაატაროს 1942 წლის დამლევამდე მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურების ნარგავთა პასპორტიზაცია.

15. დაეკალოს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს მიიღოს ზომები, რათა აშენდეს კოლმეურნეობებში 1940-1941 წლებში ნამყენი ვაზის 5 სათბური, რომელთაგან თვითეულის გამტარობის სიმძლავრე ერთ ციკლად იქნება 250 ათასი ნამყენი ვაზი.

სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ვაზის ნერგის შესაძენად კოლმეურნეობათა დაკრედიტება 1940 წლიდან გაადიდოს 40 კაპიკიდან 80 კაპიკამდე ცალში.

16. სუბტროპიკული კულტურებისა და ყურძნის პროდუქციის მოსავლის გადიდების დავალებათა შესაბამისად, დაეკალოს სსრ კავშირის მიწსახკომს შეიტანოს 1941 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში შემდეგი რაოდენობის მინერალური სასუქი (ტონობით):

	აზოტოვანი	ფოსფოროვანი	კალიუმის
ციტრუსოვანთა პლანტაციებისათვის	5.000	7.000	2.500
ჩაის პლანტაციებისათვის	25.000	30.000	3.000
ვენახებისათვის	4.000	9.000	3.000
სულ:	34.000	46.000	8.500

აღნიშნული სასუქის სულ ცოტა 25 პროცენტი შეიტანოს არაუგვიანეს 1941 წლის 15 თებერვლისა.

17. დაეკალოს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს ფართოდ დანერგოს სასიდერაციო კულტურების (როგორც მწვანე სასუქი) სისტემა, რისთვისაც მოაწყოს ამ კულტურების მეთესლეობის მეურნ

საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

21. გაძლიერდეს სუბტროპიკული კულტურებისა და ვენახების გასაშენებლად ნიადაგის მომზადების სამუშაოს მექანიზაცია, რისთვისაც:

ა) სსრ კავშირის მიწსახკომმა მოაწყოს 1940 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში სპეციალური დანიშნულების 3 სუბტროპიკული მტს ამოსაძირკვავ-სატერასო და საგზაო სამუშაოსათვის და 1940 წლის 1 აგვისტომდე შეიტანოს მოსაწყობ მტს-ებში თავისი წლიური ფონდების ხარჯზე 24 დიზელიანი ტრაქტორი „ჩტზ“, 2 ბულდოზერი და 10 გრეიდერი;

ბ) სსრ კავშირის საერთო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატმა 1940 წლის 1 ოქტომბრამდე გაჰგზავნოს ახლად მოსაწყობი აღნიშნული სუბტროპიკული მტს-ებისათვის 10 მანქანა „ბულდოზერი“;

გ) სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა არაუგვიანეს 1940 წლის 1 აგვისტოსი გამოუყოს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 15 ტონა გვარილი ამოძირკვის სამუშაოს საჭიროებისათვის;

 დ) სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატმა დაამზადოს 1940 წელს ჩაის 100 კულტივატორი „ჩტკ“ მარკისა, რომელიც შემუშავებულია ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად-საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ, აღადგინოს ვენახის ცხენის გუთნების „ვკ“ წარმოება ვენახის მწკრივებშორის დასამუშავებლად და დაამზადოს საქართველოს სს რესპუბლიკისათვის 1940 წელს 500 ცალი, ხოლო 1941 წლის 1 აპრილამდე — 500 ცალი გუთანი;

ე) სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინონ 1941 წლის გეგმით სამანქანო-მელიორატიული სადგურის მოწყობა კოლხიდაში ამოძირკვის სამუშაოს შესასრულებლად, მელიორირებული მიწების წინასწარ დასამუშავებლად და საშრობი არხების გასაწმენდად, ამასთან მოამარაგონ ეს სადგური საჭირო მანქანებითა და მოწყობილობით.

VI. წყალთა მეურნეობის დარგში

1. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარების დარგში დასახულ ამოცანათა შესასრულებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1940-1944 წლებში გატარონ შემდეგი წყალსამეურნეო ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ 18,35 ათასი ჰექტარის ამოშრობას (გარდა კოლხიდაში წარმოებული სამუშაოსი), 31,5 ათასი ჰექტარის ახლად მორწყვას და არსებულ სარწყავ და ამოშრობის სისტემათა გაუმჯობესებას:

ა) დაწყებულ იქნას 1940 წელს მუშაობა მიწების ამოსაშრობად და 1944 წლის დამლევისათვის უზრუნველყოფილ იქნას ამოშრობილი ფართობების მიღება გალის, ზუგდიდის, აბაშის, გეგეჭკორისა და სხვა რაიონებში 18.350 ჰექტარის რაოდენობით ციტრუსოვანი კულტურების, ჩაისა და სხვა კულტურების გასაშენებლად;

ბ) დაწყებულ იქნას 1941 წელს და დამთავრდეს 1943 წელს აჯამეთის სარწყავი არხის მშენებლობა, ისე რომ მიღებულ იქნას 5 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობი და მოხდეს ერთი ათასი ჰექტარის არსებული რწყვის რეკონსტრუქცია ზესტაფონისა და ქუთაისის რაიონებში;

გ) დაწყებულ იქნას 1940 წელს და დამთავრდეს 1941 წლის დამლევისათვის კეხვის სარწყავი არხის მშენებლობა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ისე რომ მიღებულ იქნას 2.400 ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობი და მოხდეს 1.260 ჰექტარი ფართობის არსებული რწყვის რეკონსტრუქცია;

დ) დაწყებულ იქნას 1942 წელს და დამთავრდეს 1943 წელს სალთვინის სარწყავი არხის მშენებლობა გორის რაიონში, ისე რომ მიღებულ იქნას 7.400 ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობი და მოხდეს 11.200 ჰექტარი ფართობის არსებული რწყვის რეკონსტრუქცია;

ე) დაწყებულ იქნას 1941 წელს და დამთავრდეს 1944 წლის დამლევისათვის დოღლაურის-ველის სარწყავი არხის მშენებლობა, ისე რომ მიღებულ იქნას 11.600 ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობი ხაშურის, გორისა და ქარელის რაიონებში;

ვ) დამთავრდეს 1942 წლის დამლევისათვის სოფანლულის სარწყავი სისტემის მშენებლობა 6 ათასი ჰექტარის მოსარწყავად თბილისის რაიონში (აქედან 5.100 ჰექტარის ახლად რწყვა);

ზ) დამთავრდეს 1943 წლის დამლევისათვის ტირიფონის სარწყავი სისტემის მშენებლობა გორის რაიონში და უზრუნველყოფილ იქნას 13.600 ჰექტარი სარწყავი მიწის მთლიანად ათვისება;

თ) დამთავრდეს 1942 წლის დამლევისათვის ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა და უზრუნველყოფილ იქნას 33.593 ჰექტარი სარწყავი მიწის მთლიანად ათვისება, ამასთან გატარდეს ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია, რათა თავიდან იქნას აცილებული ამ მიწების დამლაშება და დაჭაობიანება;

ი) ჩატარდეს 1942-1944 წლებში კაპიტალური რემონტი ყარაიის სარწყავი სისტემისა, რომელიც 15.876 ჰექტარს რწყავს.

კ) დამთავრდეს 1942 წლის დამლევისათვის მდინარე ცხენის-წყალის რეგულირების სამუშაოები, რაც ხორციელდება იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას წყალდიდობისაგან აბაშის, გეგეჭკორის, წულუკიძის და სამტრედიის რაიონების ნარგავები, ნათესები და დასახლებული პუნქტები;

ლ) დამთავრდეს 1944 წლის დამლევისათვის მდინარე ჭოროხის რეგულირების სამუშაოები, რაც ხორციელდება იმ მიზნით, რომ ბათუმის რაიონის კახაბერის ველზე დაცულ იქნას მიწები წყალდიდობისაგან და ნაპირები დანგრევისაგან.

2. წყალთა მეურნეობის მშენებლობის (გარდა კოლხიდის სამუშაოებისა) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება მიენდოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

სსრ კავშირის მიწსახკომმა საჭირო დახმარება გაუწიოს მშენებლობის გატარებას, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენასა და დამტკიცებას.

3. დაწესდეს კოლხიდის დაბლობის ამოშრობის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1940 წლისათვის 17 მილიონი მანეთის რაოდენობით და 1941 წლისათვის — 30 მილიონი მანეთის რაოდენობით.

4. დამტკიცდეს წყალთა მეურნეობის მშენებლობის ხარჯების საერთო მოცულობა 1940-1944 წლების პერიოდისათვის (კოლხიდის ამოშრობის სამუშაოთა ღირებულების გამოკლებით) 86,6 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც წლების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდეს:

	სულ მილიონი მანეთი	აქედან:	
		სსრ კავშირის ბიუჯეტი	კოლმეურნეობათა სახსრები
1940 წელი	6,7	4,4	2,3
1941 წელი	19,7	11,6	8,1
1942 წელი	29,4	16,1	13,3
1943 წელი	20,1	11.2	8,9
1944 წელი	10,7	6,4	4,3
სულ:	86,6	49,7	36,9

VII. ღონისძიებანი გადასახლება-დასახლების ხაზით

1. კოლხიდის დაბლობის ამოსაშრობად მიწებისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის აუთვისებელი მიწების ჩაისა, ციტრუსებისა და სხვა კულტურებისათვის ასათვისებლად 63.000 ჰექტარი საერთო ფართობით, 1940-1944 წლებში ჩატარდეს 10.380 მეურნეობის შიდარესპუბლიკური გადასახლება საქართველოს სს რესპუბლიკის მთაგორიანი რაიონების მცირემიწიანი კოლმეურნეობებიდან, აქედან: კოლხიდაში — 4.976 მეურნეობა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 5.404 მეურნეობა.

2. დამტკიცდეს გადასახლება-დასახლების გეგმა, დაფინანსების მოცულობა და სამშენებლო მასალების შეტანა ახლადდასახლებულ მეურნეობათა მოსაწყობად წლების მიხედვით შემდეგი რაოდენობით (სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გადასახლება-დასახლების სამმართველოს ფონდებით):

წლები	გადასასახლებელ მეურნეობათა კონტინგენტი	ფულადი სახსრები		
		სახბიუჯეტო ათას მანეთობით	სსრკ.-სამ. კოოპ. ათას მანეთობით	სულ ფულადი ათას მანეთობით
1940	1.800 *)	759	14.149	14.908
1941	2.000	900	24.460	25.360
1942	2.000	900	23.837	24.737
1943	2.500	1.125	30.275	31.400
1944	2.500	1.125	29.240	30.365
სულ:	10.800	4.809	121.961	126.770

*) მათ შორის კოლმეურნეთა 420 მეურნეობის შიდასარაიონო გადასახლება მეწყერებთან და წყალდიდობასთან დაკავშირებით.

სამშენებლო მასალები					
წლები	ხე-ტყე ათას კუბ. მეტრობ.	ლურსმანი ტონობით	ცემენტი ტონობით	მიფერი ათას ცალობით	რკინა ტონობით
1940	19,0	54.0	298	60	70.0
1941	46,0	129,0	720	1.600	162,0

3. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ გადასახლება-დასახლების სამმართველოს უზრუნველჰყონ შემდგომ წლებში საქართველოს სს რესპუბლიკის ახლადდასახლებულთა მოსაწყობად მათი დაფინანსება და სამშენებლო მასალებით მომარაგება საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს

(დასასრული)

ყოველწლიური განაცხადების მიხედვით.

4. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს და საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1940-1944 წლებში ჩაატარონ შემდეგი მოცულობის სამუშაოები იმ კოლმეურნეობებისათვის მიწის ფართობის მოსამზადებლად, რომლებიც ახლადდასახლებულ მეურნეობებისაგან ეწყობა:

სამუშაოს დასახელება	საზომი ერთეული	სულ	აქედან 1940 წელს
ამოძირკვა	ჰექტარი	27.650	1.900
ამოშრობა	ჰექტარი	7.100	2.450
გზების მშენებლობა	კილომეტრი	86	15
გაწყლიანება (ჭების გათხრა)	ცალი	955	55

5. კოლხიდისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახლადდასახლებულთა კოლმეურნეობების საბინაო, სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაფარვის ვადად დაწესდეს 10 წელი და კრედიტი დაფარულ იქნას თანაბარ ნაწილებად, დაწყებული მისი მიღების შემდეგ მეხუთე წლიდან.

6. უფლება მიენიჭოთ საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მოახდინონ ახლადმოსაწყობ კოლმეურნეობებისათვის გადასაცემად (იქ, სადაც შეუძლებელია გადმოსახლებულთა მეურნეობების დამატებით დასახლება კოლმეურნეობებში) კოლმეურნეობებზე წინათ მიმაგრებული იმ მიწების ნაწილის ჩამოჭრა, რომლებსაც ისინი არ იყენებენ და რომლებიც არც შეიძლება გამოყენებულ იქნას უახლოეს წლებში; ამასთან შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებანი სახელმწიფო აქტებში, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ შემდგომი დამტკიცებით.

VIII. გადამმუშავებელი მრეწველობის დარგში

ჩაის ფოთლის, ციტრუსოვანი ნაყოფისა და ყურძნის გადამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, დაეკალოთ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს განახორციელონ 1940-1944 წლებში შემდეგი ღონისძიებანი:

ჩაის მრეწველობის დარგში

1. დაამთავრონ: ორთა-ბათუმის, ჩხოროწყუს, ნაბაკევის, დიდიჭყონის მე-2, ნარაზენის, ნასაკირალის, ლაითურის, ქობულეთის, აჩიგვარის, სუფსის, მამათის, ჩაქვის, წალენჯიხის მე-2, ლანჩხუთის, ჭალა-ფახულანის, მოქვის, ჩოხატაურის, ორპირის, ბალლაკის, ლესიჭინის, კოდორის ჩაის ფაბრიკები, რომლებიც ახლა შენდება, და ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკა, ისე რომ 1940 წელს საერთო წლიური სიმძლავრე შეადგენდეს 7.870 ტონა, 1941 წელს — 11.300 ტონა და 1942 წელს — 5.020 ტონა ჩაის ფოთლის გადამუშავებას.

2. 1940 წლისათვის დამტკიცებული გეგმის დამატებით გათვალისწინებულ იქნას აჭყვის ჩაის ფაბრიკის მშენებლობა 2.000 ტონა საპროექტო სიმძლავრისა და 1.000 ტონის გადამმუშავებელი მისი პირველი რიგი ამუშავდეს 1941 წლის II კვარტალში.

3. დაწყებულ იქნას 1941 წელს ჩაის 4 ახალი ფაბრიკის მშენებლობა — მარტვილის, ჯოღეჯიანის, გუდაუთისა და განახლებისა, რომელთაც უნდა ჰქონდეთ წელიწადში 12.000 ტონა ჩაის ფოთლის გადამუშავების საპროექტო სიმძლავრე, ამასთან მარტვილის, ჯოღეჯიანისა და გუდაუთის ფაბრიკების პირველი რიგი, 2.800 ტონა სიმძლავრისა, ამუშავებულ იქნას 1942 წელს.

4. აგებულ იქნას და 1941 წლის 1 მარტისათვის ამუშავდეს ლაო-ჩას გადამმუშავებელი 6 პუნქტი, 6.000 ტონა საერთო სიმძლავრისა.

5. მზა ბაიხის ჩაის გამოშვება 1944 წლისათვის აყვანილ იქნას 22 ათას ტონამდე.

6. განისაზღვროს დამტკიცებული გეგმის დამატებით 1940 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის ფაბრიკების მშენებლობისათვის და ჩაის საბჭოთა მეურნეობებში მშენებლობისათვის კაპიტალური ხარჯების მოცულობა 10 მილიონი მანეთის რაოდენობით (აქედან ჩაის საბჭოთა მეურნეობებისათვის — 2 მილიონი მანეთი), 1941 წლისათვის — 33 მილიონი მანეთის და 1942 წლისათვის — 33 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ნაყოფის გადამმუშავებელი მრეწველობის (ციტრუსების) დარგში

7. მთლიანად დამთავრდეს 1941 წელს ბათუმის ციტრუსოვანი კომბინატის მშენებლობა.

8. აგებულ იქნას 1941-1944 წლებში:

ა) 26 ტიპიური საფუთავი ქარხანა, აქედან სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით — 18 ქარხანა, რომელთა საერთო სიმძლავრე უნდა შეადგენდეს 1.200 მილიონი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფის ფუთვას, და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით — 8 ქარხანა, რომელთა საერთო სიმძლავრე უნდა შეადგენდეს 500 მილიონ ცალს;

ბ) წვნის 8 ტიპიური ქარხანა 40 მილიონი ქილა საერთო სიმძლავრისა;

გ) კონსერვის 6 ტიპიური პატარა ქარხანა, თვითეული წელიწადში ერთ მილიონ ქილა სიმძლავრისა.

9. ნაყოფის გადამმუშავებელი მრეწველობისათვის (ციტრუსების) კაპიტალური ხარჯების საერთო მოცულობა საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა დაიწესოს: 1940 წელს იმ გეგმის გადამეტებით, რომელიც დამტკიცებულია 1940 წლისათვის, — 3 მილიონი მანეთი; 1941 წელს — 8 მილიონი მანეთი; 1942 წელს — 10 მილიონი მანეთი; 1943 წელს — 12 მილიონი მანეთი; 1944 წელს — 12 მილიონი მანეთი და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით 1941-1944 წლებისათვის — 12 მილიონი მანეთი.

10. ციტრუსოვანთა ნაყოფისაგან წვნის გამოშვება 1944 წელს აყვანილ იქნას 40 მილიონ ქილამდე და კონსერვისა — 15 მილიონ ქილამდე.

მეღვინეობის მრეწველობის დარგში

11. ვაზის ნარგავების ზრდასთან და ძველი ნარგავების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, სუფრის ღვინის გამოშვება 651,4 ათასი დეკალიტრიდან, რაც 1939 წელს იყო, 1944 წელს გადიდდეს 2.000 ათას დეკალიტრამდე; აქედან მარკიანი ღვინისა, რაც 1939 წელს 54,6 ათას დეკალიტრს შეადგენდა, 1944 წელს გადიდდეს 300 ათას დეკალიტრამდე.

კონიაკისა, რაც 1939 წელს 53 ათას დეკალიტრს შეადგენდა, 1944 წელს გადიდდეს 500 ათას დეკალიტრამდე.

ტკბილ-შემაგრებული და სადესერტო ღვინის გამოშვება დატოვებულ იქნას 1940 წლის გეგმის დონეზე 360 ათასი დეკალიტრის რაოდენობით.

12. ღვინისა და კონიაკის წარმოების განვითარებისა და მაღალხარისხოვანი ღვინისა და კონიაკის გამოშვების მიზნით, 1940-1943 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით აშენდეს:

მეღვინეობის 23 ტიპიური პირველადი გადამმუშავებელი პუნქტი წელიწადში 1.325 ათასი დეკალიტრის საპროექტო სიმძლავრისა;

ღვინის ორი ქარხანა 500 ათასი დეკალიტრის სიმძლავრისა;

კონიაკის ქარხანა თბილისში 500 ათას დეკალიტრი კონიაკის სიმძლავრისა წელიწადში;

კონიაკის სპირტის სახდელი ორი ქარხანა 320 ათასი დეკალიტრის საერთო სიმძლავრისა.

რეკონსტრუირებულ და გაფართოებულ იქნას ლოქესმუროგის ქარხანა, ისე რომ 1939 წელს მიღებული 300 ათასი დეკალიტრის ნაცვლად 1943 წელს მიღებულ იქნას 1.120 ათას დეკალიტრამდე.

13. სავსებით დამთავრდეს ღვინის ქარხნების გაფართოება და რეკონსტრუქცია წინანდალსა და გურჯაანში, ამასთან მათი სიმძლავრე, რაც 1939 წელს 340 ათას დეკალიტრს შეადგენდა, 1943 წელს 880 ათას დეკალიტრამდე გადიდდეს.

14. საქართველოს სს რესპუბლიკის ღვინის მრეწველობის შუშის ჭურჭლით უზრუნველსაყოფად რეკონსტრუირებულ იქნას 1941 წელს ავჭალის შუშის ქარხანა და მისი სიმძლავრე აყვანილ იქნას 5,2 მილიონი ბოთლიდან 9,5 მილიონ ბოთლამდე.

15. დაწესდეს საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მეღვინეობის მრეწველობაში კაპიტალდადანდებათა მოცულობა 1940-1943 წლებისათვის 55 მილიონი მანეთის რაოდენობით, აქედან 1940 წელს იმ გეგმის დამატებით, რომელიც დამტკიცებულია 1940 წლისათვის — 5 მილიონი მანეთი, 1941 წელს — 14 მილიონი მანეთი, 1942 წელს — 18 მილიონი მანეთი და 1943 წელს — 18 მილიონი მანეთი.

○

1. ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა თავის დროზე შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყოს 1940 წელს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საერთო ფონდიდან და გადაეცეს:

ა) საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 28,6 მილიონი მანეთი, აქედან — 27,4 მილიონი მანეთი კაპიტალური ხარჯებისათვის;

ბ) სსრ კავშირის მიწსახკომს კოლხიდის ამოსაშრობად — 7 მილიონი მანეთი.

2. გამოყოფილ იქნას 1940 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსათვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს რეზერვიდან:

	ხე-ტყე (კუბ. მეტ.)	ცემენტი (ტონობ.)	ბარისხოვანი რკინა (ტონობ.)	„კატანკა“ (ტონობ.)	გვარილი (ტონობ.)	ბოთლები (ათას ცალობით)
ჩაის მრეწველობისათვის	4.800	1.200	150	25	—	—
ნაყოფის გადამმუშავებელი მრეწველობისათვის	1.400	360	45	—	—	—
მეღვინეობის მრეწველობისათვის	2.400	1.000	120	25	—	—
წყალთა მეურნეობის სამუშაოსათვის	3.000	1.500	200	—	150	—
ახლადდასახლების ღონისძიებათათვის	—	—	—	—	—	600
სულ:	11.600	4.060	515	50	150	600

3. გამოიყოს და გადაეცეს 1940 წელს სსრ კავშირის მიწსახკომს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს რეზერვიდან კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოს დასაჩქარებლად წინათ მიღებული ფონდების დამატებით შემდეგი მოწყობილობა და მასალა:

მექანიკური გადამტვირთავი	— 2	
ავტომანქანა „ზის-5“	— 15	
მოძრავი ელექტროსადგური	— 3	
დიზელი 50 HP	— 3	
ცემენტი	— 1000	ტონა
ხე-ტყე	— 2000	კუბ. მეტრი
საარმატურო რკინა	— 200	ტონა
„კატანკა“	— 50	ტონა
გვარილი	— 5	ტონა
ავტოსაფარი	— 400	კომპლექტი
მათ შორის „გიგანტი“	— 120	კომპლექტი
რეზინის ჩექმა	— 2000	წყვილი.

4. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სსრ კავშირის მიწსახკომსა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს 1941-1944 წლების წლიური და კვარტალური გეგმებით საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს განაცხადთა საფუძველზე გაითვალისწინონ ამ დადგენილების შესასრულებლად საჭირო მასალებისა და მოწყობილობის ყველა ფონდები სოფლის მეურნეობისათვის, წყალსამეურნეო და ახლადდასახლების ღონისძიებათათვის, აგრეთვე ჩაის, მეღვინეობისა და ხილის (ციტრუსების) გადამმუშავებელი მრეწველობისათვის.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

1940 წლის 25 აპრილი.

საზღვარგარეთ

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 25 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას: „30 კილომეტრზე ნარვიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრძოლაა გერმანიის საბრძოლო დაცვასა და მტრის ჯარის დიდ ნაწილებს შორის. ტრონჰეიმის ჩრდილოეთით გერმანიის ჯარმა დაიპყრო სტეინკიერი, რის შედეგაც დაიკავა უმნიშვნელოვანესი ულელტეხილები და გასასვლელები. გერმანიის ჯარის სწრაფი წინსვლა ოსლოდან ჩრდილოეთისაკენ და ჩრდილო-დასავლეთისაკენ გრძელდება. გერმანიის წყალქვეშა ნავებმა სკაგერაკში გაანადგურეს მტრის ორი წყალქვეშა ნავი. გერმანიის საფრაჯო გემების ფლოტილიამ სკაგერაკის სრუტის დასავლეთ შესასვლელში აღმოაჩინა ფრანგების დიდრონი საესკადრო ნაღმოსანთა ჯგუფი. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგის ძალები სჯარბობდნენ, გერმანელებმა იერიში მიიტანეს მტრის სამხედრო გემებზე. მოკლე ხნის ბრძოლის შედეგად მტერი სასწრაფოდ მიიმალა.

ნორვეგიის ორი უახლესი საესკადრო ნაღმოსანი ჩადგა გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მწყობრში.

ნორვეგიის სანაპიროსთან გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა მტრის საზღვაო ძალებს. ინგლისის საჰაერო დაცვის გემი ძლიერ დაზიანდა და შესწყვიტა საბრძოლო მოქმედება. ჩრდილოეთ ზღვაში ჩამოგდებულია ინგლისის 3 თვითმფრინავი. მტრის ერთი თვითმფრინავი ჩამოგდებულია ოლბორგის (დანია) მახლობლად. გერმანიის ორი თვითმფრინავი თავიანთ ბაზებში არ დაბრუნებულა.

ბერლინი, 25 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, გერმანიის ჯარმა, რომელიც მიესის ტბის ორივე მხარეზე მოქმედებს ტენსენტტისა და რანგენტს პუნქტებს მიაღწია. გერმანიის ჯარმა, რომელიც ტრონჰეიმის ჩრდილოეთით იმყოფება, გადასჭრა სტეინკიერის მისასვლელი. მთავარი გასასვლელები დაკავებულია გერმანელთა ჯარის მიერ. მტრის მიერ ამ რაიონში გაწეული წინააღმდეგობა საკმაოდ უწესრიგო იყო. ნარვიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 30 კილომეტრზე იქ მყოფ გერმანელთა საბრძოლო დაცვის რაზმებსა და მტრის ნაწილებს შორის მოხდა ბრძოლა, რომელიც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ნარვიკის მახლობლად ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალები ძალიან აქტიურად მოქმედებდნენ. მძიმე და მსუბუქი გემები ქალაქს გაფთრებით უშენდნენ ყუმბარებს. გერმანიის ჯარმა გუშინ იერიში მიიტანა მტრის კოლონებსა და ეშელონებზე, რომლებიც აღმოჩენილ იქნენ დომბოსის რაიონში. ხროლის შედეგად მატარებლებს ცეცხლი გაუჩნდა, ხოლო მტრის ნაწილები გაფანტულ იქნენ. მტრის ნაწილებს შორის მიმოსვლა შეწყვეტილია და მაშველი ჯარის მიყვანა აღკვეთილია. გერმანიის საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო მტრის ერთი თვითმფრინავი, რომელმაც 23 აპრილს, ღამით, იერიში მიიტანა დანიის ქალაქ ოლბორგზე და მცირე ზიანი მიაყენა მას.

გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის ჯარმა სტავანგერის რაიონში იარაღი აჰყარა 50 ნორვეგიელ ოფიცერსა და 1.300 ჯარისკაცს.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 25 აპრილი (საკდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც მოკავშირეთა ჯარებთან ერთად ტრონჰეიმის ჩრდილოეთით გამართულ ფრონტზე იმყოფება, იუწყება, რომ ტრონჰეიმის გარემოცვა ინგლის-საფრანგეთის ჯარებისაგან სერიოზულ მომზადებას მოითხოვს. გერმანიის ჯარმა ისარგებლა ქარბუქით და წინ წაიწია. ამ კვირას უნდა მოველოდეთ პირველ დიდ ბრძოლას. გერმანიის ყუმბარმშენები მთლიანად იყენებენ თავის უპირატესობას ჰაერში და მთავარ ამოცანად ისახავენ დაანგრიონ ნამსოსსა და სტეინკიერს შორის მდებარე რკინიგზა, რომლითაც მოკავშირეებს თავიანთი ჯარი გადაჰყავთ. ამ რკინიგზის ხაზზე 21 სადგურია. გერმახელებმა სასტიკად დაუშინეს ყუმბარები 10 მათგანს და ძალზე დაანგრიეს ნამსოსის, გრონგეს და სნოსას რკინიგზის სადგური. რკინიგზის ხაზი მცირედ არის დაზიანებული, ხოლო გზატკეცილები გადათხრილია ყუმბარებით. საჰაერო თავდასხმებმა მოსახლეობაში დიდი პანიკა გამოიწვიეს, მაგრამ მოკავშირეთა სამხედრო ობიექტებისათვის დიდი ზიანი არ მიუყენებიათ. მოსახლეობის ევაკუაცია ფერხდება ძლიერი თოვლის გამო. მოკავშირეთა ჯარებს პოზიციები უკავიათ სტეინკიერის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით.

ლონდონი, 25 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ნორვეგიის ჯარი გამაგრდა სტეინკიერის პოზიციებზე. ინგლის-საფრანგეთის ჯარი სწრაფად მიიწევს ამ რაიონისაკენ. მოელიან დიდ ოპერაციებს ვერდალის რაიონში, რის გამოც მოსახლეობა სტოვებს ამ ველს.

გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ელვეროუმის სექტორში ნორვეგიის ჯარმა მნიშვნელოვანად გაიუმჯობესა ორგანიზაცია და გაძლიერა წინააღმდეგობა. იუწყებიან, რომ ინგლისის ჯარი სწრაფად მიიწევს ესტერდალენის ველის შესასვლელისაკენ, რათა შეაჩეროს გერმანიის ჯარის წინსვლა ჩრდილოეთის მიმართულებით.

არსებული ცნობების თანახმად, გერმანიის ჯარმა უკვე მიაღწია ტრონჰეიმიდან სამხრეთით 80 კილომეტრზე მდებარე პუნქტს.

ლონდონი, 25 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ შვეციის საზღვრის რაიონში, ოსლოს ჩრდილოეთით 170 კილომეტრზე. ნორვეგიის ჯარი ინარჩუნებს ტრიუსლის აღმოსავლეთით მდებარე თავის პოზიციებს. ამ პოზიციების დაკავების ცდისას გერმანელებს 200 კაცი მოუკლეს.

ინგლისისა და ნორვეგიის საზენიტო ბატარიებმა ამ უკანასკნელ დღეებში მოსპეს გერმანიის 20 თვითმფრინავი.

შვეციის ცნობები

სტოკჰოლმი, 25 აპრილი (საკდესი). როგორც გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ იუწყება, გერმანელებმა, რომელთაც მაშველი ჯარი მოუვიდათ, ინგლის-საფრანგეთის ჯარებს დაუწევინეს მათი მოწინავე პოზიციებიდან სტეინკიერის რაიონში.

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 25 აპრილი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ლილეჰამარის რაიონში ინგლისელთა მნიშვნელოვანი მაშველი ჯარი ჩავიდა. ამ რაიონში ძლიერი ბრძოლა ხდება. ნორვეგიელები ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ ელვეროუმის რაიონში. გერმანელები იუწყებიან, რომ მათ ტრონჰეიმის სამხრეთით 30 მილით წაიწიეს წინ.

დაინიშნა ნორვეგიაში დაკავებული ჰერიფორიების გერმანიის მთავრობის კომისარი

ბერლინი, 25 აპრილი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება ნორვეგიაში დაკავებული ტერიტორიების გერმანიის მთავრობის კომისრად ჰიტლერმა დანიშნა ტერბოვენი. მთავრობის კომისარი ტერბოვენი უშუალოდ ჰიტლერს დაექვემდებარება.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „ტრავიატა“, **რუსთაველის** სახელობის — „უდანაშაულო დამნაშავენი“, **მარჯანიშვილის** სახელობის — „გიორგი საკაძე“, **მუსკომედია** — „აზნაურები“, **მოზარდ. მაყ. თეატრი** — „კომბლე“ (ღია წარმ.).

კინოებში: **რუსთაველის** სახ. — „მთის ნაკადი“, **ოქტომბერი** — „სოროჩინის ბაზრობა“, **დამკვრელი** — „მთის ნაკადი“, **კომკავშვილელი** — „გამანადგურებლები“, **სპარტაკი** — „ჩემი უნივერსიტეტები“, **ლუქსემბურგის** სახ. — „დიდი ცხოვრება“, **26 კომ. სახ.** — „ზარე“, **კომინტერნი** — „სტანიცა დალნაია“.

28 აპრილს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება ამხ. ს. ა. **ფრიშენბერგის** ფასიანი ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „ომი ევროპაში და ახლო აღმოსავლეთი“.

25 აპრილს შე